სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080106295910919

№ 1119

28 / თებერვალი / 2019 წ.

შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 25 თებერვალს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს“ SMP190001134 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედი ამბულატორიებისთვის (სოფლის ექიმებისთვის) მედიკამენტების (CPV - 33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები) შესყიდვას.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის ექიმების მედიკამენტებით მომარაგების ვალდებულება აღებული აქვს შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს“. აღსანიშნავია, რომ ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს №446 დადგენილების რეგულირების სფეროს, შესაბამისად 2019 წლის პერიოდისთვის აღნიშნული საქონლის შესყიდვაზე გამოცხადდა კონსოლიდირებული ტენდერები, რომლებიც ჯერ არ არის დასრულებული. ვინაიდან ქედის მუნიციპალიტეტის ამბულატორიების მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულების მიწოდების ვადა ამოიწურა და ამასთან შემსყიდველ ორგანიზაციას ამ ეტაპზე არ გააჩნია მედიკამენტების საჭირო მარაგი, სატენდერო პროცედურების დასრულების და გამოვლენილ გამარჯვებულთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე საქონლის მოწოდებამდე არსებულ პერიოდში აუცილებელია, შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს ზემოაღნიშნული საქონლის შესყიდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქედის მუნიციპალიტეტის ამბულატორიებში პაციენტები დროულად ვერ მიიღებენ საჭირო მედიკამენტებს, რაც საფრთხეს შეუქმნის მათ ჯანმრთელობას.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის ექიმების მედიკამენტებით მომარაგების ვალდებულება აღებული აქვს შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს“. აღსანიშნავია, რომ ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს № 446 დადგენილების რეგულირების სფეროს, შესაბამისად 2019 წლის პერიოდისთვის აღნიშნული საქონლის შესყიდვაზე გამოცხადდა კონსოლიდირებული ტენდერები, რომლებიც ჯერ არ არის დასრულებული. ვინაიდან ქედის მუნიციპალიტეტის ამბულატორიების მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულების მიწოდების ვადა ამოიწურა და ამასთან შემსყიდველ ორგანიზაციას ამ ეტაპზე არ გააჩნია მედიკამენტების საჭირო მარაგი, სატენდერო პროცედურების დასრულების და გამოვლენილ გამარჯვებულთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე საქონლის მოწოდებამდე არსებულ პერიოდში, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო რაოდენობის მედიკამენტების შესყიდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქედის მუნიციპალიტეტის ამბულატორიებში პაციენტები დროულად ვერ მიიღებენ საჭირო მედიკამენტებს, რაც საფრთხეს შეუქმნის მათ ჯანმრთელობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს“ SMP190001134 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე